# ხელშეკრულება

ქ. თბილისი "20"ივლისი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 20 ივლისს ქ. თბილისში ერთის მხრივ სსიპ თბილისის № 202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს „ულტრას" (შემდგომში "მომწოდებელი") შორის და მოხდა შეთანხმება შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კომპიუტერის კაბელის მიწოდება. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს ".

მიწოდება მოხდება „დამკვეთსა" და მომწოდებელს შორის შეთანხმებული წესით.კომპიუტერის კაბელის ღირებულებაა 24.80 ლარი.

II უფლება - მოვალეობები

„მომწოდებული" ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებული საქონლის ხარისხი რაოდენობა და მიწოდების ვადები. იგი ვალდებულია უზრუნველყოს წუნდებული პროდუქციის შეცვლა .

„დამკვეთი " იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება არაუგვიანეს მეორე დღისა.

III ანგარიშსწორების წესი

პროდუქციის მიღება დასტურდება საქართველოში არსებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე „მომწოდებლისა " და „ დამკვეთის " ხელმოწერით .
ანგარიშსწორების წესი – უნაღდო;
ანგარიშსწორება – ლარებში.

IV უფლებების გადაცემა

„მომწოდებელს "არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობები .

V ხელშეკრულების შესრულების შეფასება

თუ ხელშეკრულების შეფასების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება ,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის ,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

VI ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

VII ხელშეკრულების შეწყვეტა

დამკვეთს '' შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება „ ვ
ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

VIII სადავო საკითხების გადაწყვეტა

„დამკვეთი'' და „ მომწოდებელი '' პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში აგვარებენ ყველა უთანხმოებას და დავას ,თუ წარმოიქმნება მათ შორის . თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი ) დღის განმავლობაში „დამკვეთი '' და „მომწოდებელი '' ვერ შესძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას , დავის გადასაჭრელად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

IX სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2011 წლის 1 აგვისტომდე . იგი შედგენილია ორ ცალად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

| | |
|---|---|
| „დამკვეთი'' | „მომწოდებელი'' |
| დირექტორი ხათუნა ჯალაღონია | დირექტორი ირაკლი კარბელაშვილი |
| სსიპ თბილისის 202-ე ყსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა | შპს "ულტრა" |
| თბილისი, გუთნის ქ. 6 | თბილისი, ღვინის აღმართი №23 |
| საიდენტიფიკაციო N 206091398 | საიდენტიფიკაციო N 206258182 |
| ანგარიში GE64TB1100000340800008 | ანგარიში GE56BR0000003608083870 |
| სს„თიბისი ბანკის''მარჯანიშვილის ფილ. | სს„ბანკი რესპუბლიკა'' |
| ბანკის კოდი 220101850 | ბანკის კოდი 220101757 |